

ალექსანდრე ყაზბეგის სიცოცხლის დროინდელი პუბლიკაციები და გამომცემები (1861-1882 წლები)

აბსტრაქტი

ალექსანდრე ყაზბეგი ქართველ კლასიკოსთა შორის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი მწერალია. მის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ მისი თხზულებები რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა არც ერთი კრებული არ არის სრული. საქართველოს სხვადასხვა არქივში ინახება მწერლის გამოუქვეყნებელი დაუმთავრებელი მოთხრობები, დასრულებული და დაუსრულებელი პიესები, ლექსები, პირადი წერილები და წიგნაკები. დღემდე სრული სახით არ გამოქვეყნებულა ალექსანდრე ყაზბეგის ყველა თხზულებათა გამოცემის ისტორია. არსებობს მხოლოდ მონოგრაფიები და გამოკვლევები, რომლებიც ეძღვნება მწერლის ცალკეული ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლას.

წარმოდგენილი სტატია მიზნად ისახავს ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებითი გზის ადრეული ეტაპის ანალიზს, განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით მის პირველ პუბლიკაციაზე („ნანა“ 1861) და შემდგომ ლიტერატურულ, პუბლიცისტურ თუ თეატრალურ საქმიანობაზე. კვლევა აჩვენებს როგორ ჩამოყალიბდა მწერლის ხასიათი, როგორ აისახა ოჯახური გარემო, განათლება და ახალგაზრდული გამოცდილება მის შემოქმედებაში და რა როლი ითამაშა ამ პროცესში საზოგადოებრივმა და კულტურულმა გარემომ.

კვლევა ეფუძნება ბიოგრაფიულ-დოკუმენტურ მასალას, მემუარულ წყაროებს (ელისაბედ ყაზბეგის, თედო გოდერძიშვილის, დავით კლდიაშვილის და სხვათა მოგონებებს), ასევე კრიტიკულ-ანალიტიკურ ლიტერატურას. გამოყენებულია ტექსტოლოგიური და ისტორიულ-კულტურული ანალიზის მეთოდები, რათა გამოიკვეთოს ყაზბეგის ადრეული შემოქმედების თემატიკა, მისი საზოგადოებრივი პოზიცია და ინტელექტუალური ძიებები.

სტატია სვამს რამდენიმე ძირითად საკვლევ კითხვას: რა პირობებში შედგა ყაზბეგის პირველი ლიტერატურული გამოსვლა და როგორ აისახა ის შემდგომ შემოქმედებაზე? რა მნიშვნელობა ჰქონდა ოჯახურ და საგანმანათლებლო გარემოს მისი პიროვნული და მხატვრული სამყაროს ფორმირებაში? როგორ გარდაიქმნა ყაზბეგის ახალგაზრდული გამოცდილებები პუბლიცისტურ და მხატვრულ ნარატივებად?

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ყაზბეგის ადრეული შემოქმედება უკვე შეიცავდა იმ თემებსა და მოტივებს, რომლებმაც შემდგომ მის მხატვრული სისტემა

განსაზღვრა: სოციალურ სამართლიანობას, ხალხის ცხოვრებისადმი ინტერესს, გლეხის დაცვის სურვილს, კრიტიკულ დამოკიდებულებას არისტოკრატიული წესებისა და ტრადიციების მიმართ. „ნანადან“ „ციცკამდე“ და „ელგუჯამდე“ განვითარებულმა შემოქმედებითმა გზამ მწერალს მისცა საშუალება, ეროვნულ ლიტერატურაში შემოეტანა ახალი სული და წარმოეჩინა ხევის, მოხევეებისა და ჩაგრულთა ცხოვრება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ყაზბეგის ადრეული პერიოდი წარმოადგენს არა მხოლოდ მისი ბიოგრაფიის, არამედ XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურს.

საკვანძო სიტყვები: გაზ. დროება, გაზ. ივერია, ცისკარი.

Nanan Lataria

Doctor of Philology, Associate Professor at ZSU

PUBLICATIONS AND EDITIONS BY ALEKSANDRE KAZBEGI DURING HIS LIFETIME (1861–1882)

ABSTRACT

Aleksandre Kazbegi is among the least thoroughly studied writers of the Georgian classical canon. Both during his lifetime and after his death, his works were published on several occasions; however, none of these editions constitutes a complete collection. Various archives in Georgia preserve unpublished and unfinished short stories, completed and incomplete plays, poems, personal correspondence, and notebooks. To date, a comprehensive account of the publication history of Kazbegi's oeuvre has not been produced. Existing scholarship consists primarily of monographs and studies dedicated to the examination of the creative history of individual works."

The present article aims to analyze the early stage of Aleksandre Kazbegi's creative career, with particular attention to his first publication (Nana, 1861) and to his subsequent literary, journalistic, and theatrical activities. The study demonstrates how the writer's character was shaped, how family environment, education, and youthful experiences were reflected in his work, and what role the social and cultural context played in this process.

The research is based on biographical and documentary material, memoir sources (including the recollections of Elisabed Kazbegi, Tedo Goderdzishvili, Davit Kldiashvili, among others), as well as critical and analytical literature. Textological and historical-cultural methods of analysis are employed in order to highlight the themes of Kazbegi's early works, his social position, and his intellectual pursuits.

The article poses several key research questions: under what conditions did Kazbegi's first literary debut take place, and how did it shape his subsequent work? What role did the family and educational environment play in the formation of his personality and artistic world? How were Kazbegi's youthful experiences transformed into journalistic and literary narratives?

The findings of the study reveal that Kazbegi's early writings already contained the themes and motifs that later came to define his artistic system: social justice, an interest in the life of the people, a commitment to defending the peasantry, and a critical stance toward aristocratic norms and traditions. From Nana to Tsitska and Elguja, his creative trajectory enabled him to introduce a new spirit into national literature and to portray the life of Khevi, the Mokheves, and the oppressed.

In conclusion, it may be stated that Kazbegi's early period represents not only an important stage in his biography, but also a crucial phase in the development of nineteenth-century Georgian literature and social thought.

Key words: Droeba, Iveria, Tsiskari.

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებიდან პირველად დაიბეჭდა 1861 წლის ჟურნალ „ცისკარში“ (# 12, გვ. 325) ლექსი „ნანა“, რომელსაც აქვს მინანერი: „მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე“. დათარიღებულია ავტორის მიერ: „1861-სა 2-ს სექტემბერს, სტეფან წმინდას“. ლექსი დაწერილია 12 წლის ასაკში, რაზედაც მიგვანიშნებს თვით ავტორი: „თორმეტი წლის ყმაწვილმა, ესე ნანა მოგიძღვენიო“. საინტერესოა, აგრეთვე მწერლის რელიგიური თვალთახედვის კუთხით. ელისაბედ ყაზბეგის მოგონებებიდან (მალაფერიძე 1988:66). ცნობილია, რომ მწერალს ბავშვობიდან საღმრთო წერილის შესასწავლად მღვდელი მიუჩინეს, რამაც ასახვა ჰპოვა ლექსში: „ანგელოზთა დასთაგან ჩვენთან, გადმოფრენილი“; „თუ ღმერთი შემენევა უკეთესსა მოისმენ“.

„ნანა“ მეორედ დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. III, 1849, გვ. 231). ამ გამოცემის შენიშვნებში ლექსის პირველი პუბლიკაციის თარიღად მითითებულია 1863 წელი, რაც აშკარა უზუსტობაა. გარდა ამისა, მიჩნეულია, რომ ა. ყაზბეგმა ეს ლექსი მიუძღვნა მამას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება; ვინაიდან მიხეილი იყო არა გიორგის, არამედ გაბრიელის ძე. საინტერესოა ვინ იყო მიხეილ გიორგის ძე? მკვლევარი ვ. შადური აღნიშნავს, რომ „ხევში ბლომად ყოფილან საინტერესო პიროვნებანი ყაზბეგის საგვარეულოდან. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე სახელს ატარებდნენ ბიძაშვილები და სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი ყაზბეგები. სხვათა შორის მიხეილი მარტო ალექსანდრეს მამას არ რქმევია, 1861 წელს ჟურნალ „ცისკარში“ (#12) დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის ლექსი „ნანა მიხეილ გიორგის ძე ყაზბეგზე“ (ეს იყო მომავალი დიდი მწერლის პირველი გამოსვლა პრესა-

ში). სამწუხაროდ, ამ მიხეილ გიორგის ძის შესახებ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ალექსანდრეს ბიძაშვილ გიორგის (გენერალს) სამი ვაჟი ჰყავდა – ალექსანდრე, ნიკო და კონსტანტინე (სამივენი პირველ მსოფლიო ომში დაიღუპნენ). ყოფილა კიდევ მეორე გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი, რომელიც კაცის მოკვლის გამო კატორღაში სამუშაოდ გადაუსახლებიათ და რომელიც სასჯელის მოხდის შემდეგ თურმე კავთისხევში ცხოვრობდა“ (შადური 1985:13-14).

ცნობილია, რომ ალექსანდრე ხევის ბატონთა შთამომავალი იყო, შეძლებული ოჯახის ერთადერთი ვაჟი, რომელსაც ზედმეტადაც კი ანებივრებდნენ. მწერალმა მისი აღზრდის მეთოდი ჯერ კიდევ 14 წლისამ გაკიცხა კომედიის „აღმზრდელები“. მიზანში კი თავისი მშობლები ჰყოლია ამოღებული. ერთ დღეს მას მშობლებისათვის წაუკითხავს ეს კომედია. „პირველსავე სტრიქონის წაკითხვაზე, სადაც დედ-მამამ თავიანთი სურათი იცნეს – ძალუამ ღრიალი მორთო, – იხსენებს ელისაბედ ყაზბეგი, – „ვაი, ჩვენი ბრალი, რომ შენი სასაცილონიც გავხდით! რაც შევძელით არას ვიშურებდით: გასწავლიდით, გემუდარებოდით და შენ თუ გიჟი, დამთხვეული ხარ, ვისი რა ბრალია?!“ (მალლაფერიძე 1988:74).

ალექსანდრე ყაზბეგის მწყემსობის დროინდელი მეგობარი თედო გოდერძიშვილი იხსენებს: „როდესაც სანდრო პატარა ყოფილა, როგორც იმისაგან ვიცი, – სახლის გაღავნის გარეთ ხე მდგარა, რომელზედაც სულ მუდამ ხურჯინი ყოფილა დაკიდებული. ვინც გადასახადს მოიტანდა ყველს და ერბოს, რომელიც ყაზბეგისაგან ჰქონდათ შეწერილი, აუცილებლად ამ ხურჯინში ჩადებდნენ; მერე მოვიდოდა მოურავი და ხურჯინს შინ შეიტანდა, ყველს ამოიღებდა და ხურჯინს ისევ დაკიდებდა. ერთ დღეს ხურჯინი დაიკარგა, როცა ჯავრობა დაიწყეს, სანდროს ეთქვა: არავის დააბრალოთ ხურჯინის მოპარვაო, ის მე ავიღე და გადავაგდე. რათა შვილო? – შეეკითხა მამა შვილს, – იმიტომ, რომ არ მომწონს ეს თქვენი წესი, – ეგ, ჩვენი კი არა, შვილო, მამა-პაპათა წესია და შენ მაგ წესის შეცვლას არავინ გკითხავს... მე ხომ ვერ შევცვლი მამა-პაპათა წესს, სხვა რაც წყალობა იქნება, ჩემი მხრიდან, იმას არ მოვაკლებ – ეგ უფრო დიდი წყალობა იქნება, მამა, რომ ხურჯინი მოაშორო, გადასახადი აღარ განერო, – უთქვამს სანდროს და შინ გატრიალებულა“ (მალლაფერიძე 1988:162). ამდენად, აღზრდას მის პიროვნულ ხასიათზე, მის სულიერ სამყაროზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია, რამდენადაც იგი პატარაობიდანვე გლეხის ბიჭებთან თამაშობდა და სიცოცხლის ბოლომდე დარჩა დაჩაგრულთა ქომაგი, როგორც რეალურ ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაშიც.

მწერალმა დაწყებითი სწავლა-განათლება ოჯახში მიიღო, შეისწავლა ფრანგული და რუსული ენები, აგრეთვე საღმრთო წერილი. 1859 წელს სანდრო მშობლებმა ჩამოიყვანეს თბილისში და მიაბარეს ჰაკკეს ვაჟთა კერძო პანსიონში, აქედან გადაიყვანეს კანონიჩის პანსიონში, ხოლო შემდეგ თბილისის გიმნაზიაში აგრძელებს სწავლას; თუმცა ოჯახური მდგომარეობის გამო მწერალს ეს სასწავლებელი არ დაუმთავრებია, რასაც მეტად მტკივნეულად განიცდიდა. სწავლამონწყურებულ ალექსანდრეს უცდია

სახლიდან გაპარვა, მაგრამ მშობლებს იგი შინ დაუბრუნებიათ; 1866 წელს ალექსანდრეს მამა გარდაეცვალა, ხოლო 1867 წელს გაემგზავრა მოსკოვში სწავლის გასაგრძელებლად და ჩაირიცხა სამეურნეო აკადემიაში თავისუფალ მსმენელად. მოსკოვში მისთვის დიდი დახმარება გაუწევია ბავშვობის დროინდელ მეგობარს, ალ. ბახუტაშვილს: „მისმა მეგობრობამ ალ. ყაზბეგის სტუდენტურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ეს გავლენა ყველაზე საუცხოოდ იმაში გამოიხატა, რომ ბახუტაშვილი გახდა ავტობიოგრაფიული დაუმთავრებელი ნაწარმოებების „საქართველოს ბომონდისა“ და „ცხოვრების ჩარხის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო პერსონაჟი (ლოლაშვილი 1949:4).

მოსკოვში ყოფნის დროს ალექსანდრე დაუახლოვდა სოფელ ჩერვლენოეში მცხოვრებ ჭავჭავაძეებს, რომელთაც გრაფ შატინინის ასულები ჰყავდა ცოლად. აქ გაიცნო და სასიყვარულო რომანი ჰქონდა მწერალს გრაფ ჩერნიშოვა-კრუგლოვის ქალთან, ნინოსთან (ლოლაშვილი 1949:2). სამწუხაროდ, ეს სიყვარული კრახით დამთავრდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მკვლევართა მიერ (ვ. კოტეტიშვილი, ი. ლოლაშვილი, ე. ზარდიაშვილი და სხვ.) გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს იყო პირველი დარტყმა, რომელმაც ძირფესვიანად შესძრა ყაზბეგის პიროვნება.

XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწერა ყაზბეგის ავტობიოგრაფიული ნაწარმოები „საქართველოს ბომონდი“, რომელშიც ასახულია სტუდენტობის პერიოდი და მოგვიანებით ამ თხზულების გადამუშავებული რედაქცია „ცხოვრების ჩარხი“ (1882 წ.). მასში გადმოცემულია მწერლის რომანი ნინო ჩერნიშოვა-კრუგლოვასთან. ეს ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს ორიენტირად დასკვნისათვის, თუ რატომ დამთავრდა ტრაგიკულად მწერლის სიყვარულის ისტორია.

საყურადღებოა ისიც, რომ მწერლის თხზულებათა სრული კრებულის (1948-50 წ.წ.) IV და V ტომებში გამოქვეყნებული მოთხრობების და მათი ვარიანტების, აგრეთვე ჩვენ მიერ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მწერლის არქივზე მუშაობისას მიკვლევულ დაუმთავრებელ მოთხრობათა უმრავლესობა განეკუთვნება ალ. ყაზბეგის შემოქმედების I პერიოდს, ე.ი. 70-იან წლებს (ლატარია 2010:71-83).

ალ. ყაზბეგი ჯანმრთელობაშერყეული და სულიერად დაძაბული 1870 წელს სამშობლოში, ხევში დაბრუნდა. მიუხედავად ნათესავების წინააღმდეგობისა, მან მეცხვარეობას მიჰყო ხელი იმ მიზნით, რომ გასცნობოდა თავის ხალხს და აღენერა მათი ცხოვრება. გარდა ამისა, რუსეთში მიღებული ტრაგიზმის შემდეგ, მშობლიური მთის ხალხთან ურთიერთობა აუცილებელიც იყო მწერლის სულიერი სიმშვიდისათვის. მთელი 7-8 წელი ცხვარში გაატარა. მოგონებებიდან ცნობილია, რომ ალექსანდრე ცხვარში ყოფნის დროსაც ეწეოდა შემოქმედებით მუშაობას. თედო გოდერძიშვილი იხსენებს: „...სანდროს ყარაულობის დროც მოვიდა. ჩვენ ყველამ ვივახშმეთ, ცხვარი დავაბინავეთ და დავიძინეთ. დილით ბინიდან შემოგვესმა ხმაური, ჩხუბის ხმა. შევედით სანდროსთან და დავინახეთ, სანთელი მთლად დანავლებული, გამდნარი, აუარება ნაწერი ქალაღებში... სანდრო ჰა, სანდრო, – დაეუძახეთ ჩვენა, მაგრამ ყური არ

გვიგდო. მერე ადგა, ლანძღვით ფანქარი პატარა სიფროზე დაახეთქა და თქვა: გაგონილა განა ამდენი უსამართლობა, ამდენი სისხლის ღვრა, ამდენი დევნა... სად არის სამართალი!.. ჩვენ გაკვირვებით ვუყურებდით და არ გვესმოდა, რაზე იყო ლაპარაკი. მერე, როცა დამშვიდდა, ქალაქდები აკრიფა, დაახვია და სკივრში შეინახა... ბოლოს მაინც გამოგვიტყდა, რომ რალაც მოთხრობას წერდა და იმის გმირი შეეწუხებინა უსამართლობას, მაგისტვის ვბრაზობდიო“ (მაღლაფერიძე 1988:161-162).

დროგამოშვებით მწერალი თბილისში ჩამოდიოდა. მას შეუტყვია, რომ ქართული თეატრი რეპერტუარის ნაკლებობას განიცდიდა და მთელი რიგი პიესებისა ჩამოუტანია, თუმცა, დასმა არც ერთი არ მიიღო და დასცინეს კიდევ. ამის შესახებ იგი გულისტკივილით აღნიშნავს თავის წერილში: „წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მადლობის მაგიერ ცხვირ წინ ფრუტუნი დამიწყეს და მასხრად ამიგდეს... მე დავდიოდი ვიჟსავით, რადგანაც მეშინოდა შეუწყალელების სიცილისაგან, რომელსაც შეეძლო სრულს დამარცხებამდის მივეყვანე და პირველსავე მოძრაობაზედ ფრთები საუკუნოდ მოეკვეცათ“ (ყაზბეგი 1950:156-157). ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა მისი მძიმე სულიერი მდგომარეობა.

ალ. ყაზბეგი 1879 წლიდან თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლად. 1880 წლიდან კი თანამშრომლობდა გაზეთ „დროებასთან“. უსახსროდ დარჩენილ მწერალს გაზეთის რედაქციამ ოთახიც კი გამოუყო სამუშაოდ. იქვე იწერებოდა და ქვეყნდებოდა მისი ნაწარმოებები „მოჩხუბარიძის“ ფსევდონიმით, რომელიც პატარაობისას თავისი ხასიათის გამო დედას შეურქმევია. თბილისში ყოფნის დროს მწერალი პიესებზეც მუშაობდა. იგი გაეცნო ქართული თეატრის წარმომადგენლებს და ხშირად თამაშობდა სცენაზე, თუმცა აქაც ვერ ასცდა კრიტიკას, მხოლოდ მისი ცეკვა „ხანჯლური“ მოსწონდათ. ეს ფაქტი მას ძალიან აღიზიანებდა.

ალ. ყაზბეგი გაზეთ „დროებაში“ ცნობილი ნაწარმოებების გარდა აქვეყნებდა პუბლიცისტურ წერილებს სხვადასხვა საზოგადოებრივ საკითხებზე, აგრეთვე პასუხებს თავისი არაკეთილმოსურნე რეცენზენტებისადმი. ამ პერიოდში დაიბეჭდა მისი შემდეგი წერილები:

წერილები რედაქტორთან („დამსწრე-ს მიერ „დროების“ # 139-ში ალ. ყაზბეგის კომედიის „ორი ქორწილი ერთად“ გარჩევის შესახებ. სქოლიოში რედ. შენიშვნა) – დროება, 1880, 6 ივლ., # 143, გვ. 2-3.

წერილი რედაქტორთან (ქ. თბილისში „მოსამსახურეთ იმერლების საზოგადოების“ შედგენის განზრახვა). – დროება, 1880, 28 აგვ., # 181, გვ. 2-3.

„ჩვენი მტერ-მოყვარენი“ (საქართველოში გამდიდრებულ უცხოელებზე). – დროება, 1880, 13 სექტ., # 193, გვ. 1-3.

„ლექციები ქართულ ენაზედ“ (აკ. წერეთლის ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“). – დროება, 1881, 1 აპრ., # 69, გვ. 2-3.

„გადაკარგული მხარე“ (რეც. ნგ. რადდე. „ხევსურები და ხევსურეთი“). – ივერია, 1881, # 4, გვ. 131-147; # 5, გვ. 96-116.

„თეატრის შესახებ“ (წერილი). – დროება, 1881, 24 სექტ., # 199, გვ. 1-3..

„თეატრის შესახებ“ (პასუხი ბ. „ქართული სცენის მოყვარეს“). – დროება, 1881, 30 სექტ., # 203, გვ. 3-1.

„ერთი სამწუხარო შემთხვევა“ წერილი (ქუთაისიდან) (არქეოლოგიური ყრილობის ერთ-ერთი წევრისათვის მედუქნის მიერ შეურაცხყოფის მიყენება). – დროება, 1881, 7 ოქტ., # 208, გვ. 2-3.

წერილი რედაქტორთან (პასუხად ლელოს მიერ თეატრალური რეცენზიების ხარისხის შესახებ). – დროება, 1882, 6 იანვ., # 3.

ადგილობრივი ამბები (ალ. ყაზბეგის თავის მართლება ფოთში განზრახული წარმოდგენის ჩაშლის გამო. წერილის პუბლიკაცია). – შრომა, 1882, 4 აგვ., გვ. 2.

ბ. რედაქტორო! (პასუხი გაზ. „დროების“ # 178-ში გამოქვეყნებულ ა. ცაგარლის შენიშვნაზე ქ. ფოთში სალამოს ჩაშლის შესახებ). – შრომა, 1882, 5 სექტ., # 34, გვ. 4.

პასუხი ბ. ცაგარელს „დროების“ # 178 დაბეჭდილ შენიშვნაზე (ფოთში განზრახული წარმოდგენის ჩაშლის გამო). – დროება, 1882, # 186, გვ. 3-4.

მკვლევარი ილია ჭყონია თავის წერილში – „ჩემი დღე და სოფელი“ იხსენებს, რომ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი იყო ალ. ყაზბეგის „მწერლობის ნათლია, ლალაცა და ნამქეზებელი“... მისთვის უთქვამს ალექსანდრეს, რომ ქართულ მწერლობაში შემოიტანდა „ახალს ჰანგსა და კილოს, ხევისა და მოხევეების ცხოვრების გაცნობით, და ამისათვის მომზადებული ჰქონდა რამდენიმე დრამა და ვოდევილები. სასცენო ნაწერების შესახებ სერგიმ მწერალს ურჩია, ჯერ სცენაზე მოეხერხებინა მათი დადგმა და, თუ კრიტიკა მოიწონებდა მათ, ანუ რომელსამე მათგანს, მაშინ შეიძლებოდა მათი დაბეჭდვა; ხოლო ხევისა და მოხევეების ცოდნის დასამტკიცებლად მან სანდროს მოსთხოვა, ჯერ ეთნოგრაფიული მიმოხილვა და მერე შესდგომოდა რომან-მოთხრობების წერას“ (მაღლაფერიძე 1988:220).

ალექსანდრე ყაზბეგის პუბლიცისტური წერილი „მოხევეები და იმათი ცხოვრება“, პირველად დაიბეჭდა 1880 წელს, „დროების“ ფურცლებზე (## 156-159; 161-164-167; 169-174-177). ეს ეთნოგრაფიული მიმოხილვა მაშინვე გადაუთარგმნია რუსულად რაფიელ ერისთავს და დაიბეჭდა რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების ცნობებში, ხოლო მეორედ დაიბეჭდა მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში (ტ. V, 1950, გვ. 5-10). ამ პუბლიკაციის შენიშვნებში ს. ყუბანიშვილი მიუთითებს, რომ ნაბეჭდ ტექსტში ავტორს შეუმჩნევია შეცდომები და დაუწყია მისი გასწორება. „ამ გასწორების მხოლოდ პატარა ნაწყვეტია დარჩენილი, – აღნიშნავს ს. ყუბანიშვილი, – რომლის მიხედვითაც გასწორდა ჩვენი გამოცემის ტექსტი... ეს ნარკვევი ალ. ყაზბეგს ვერ დაუბეჭდავს ისე, როგორც მას ჰქონია მოფიქრებული, რადგან „გაზეთის სივრცეს და სხვადასხვა მოსაზრებას ამის ნება არ მიუციათ“, ალ. ყაზბეგის არქივში დაცულია ეთნოგრაფიული წერილების სამი ნაწყვეტი, რომელიც ძვირფასს დამატებით ცნობებს შეიცავენ მოხევეთა და მათი მომიჯნა-

ვე ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს ცნობები მთლიანად დაბეჭდილია მწერლის თხზულებათა სრული კრებულის V ტომში (გვ. 505-509).

1880 წლის გაზეთ „დროებაში“ (# 197, გვ. 1-3) იბეჭდება მოთხრობა „ციცკა“. ეს იყო მწერლის პირველი მხატვრული თხზულება, რომლითაც მან შეალო კარები მხატვრულ ლიტერატურაში. ილია ჭყონია ამ ნაწარმოების შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით იხსენებს, რომ ერთხელ, როცა ის რედაქციაში დროებით სერგეი მესხის მოვალეობას ასრულებდა, გაზეთის შესავსებად მასალა არ იყო. სწორედ ამ დროს შესულა ალექსანდრე და რედაქტორს უკითხავს მისთვის, თან ხომ არ ჰქონდა რაიმე მასალა. თუ არა და იქვე დაენერა, მაგრამ მწერალს უგუნებობა მოუმიზეზებია და წასვლა დაუპირებია. „უცებ გამიელვა თავში აზრმა – იგონებს ილია ჭყონია... შემეტყუებინა ის რედაქტორის კაბინეტში, ჩამეკეტა იქ და არ გამომეშვა, სანამ რამეს არ დამინერდა გაზეთისთვის.“

ასეც მოვიქეცი.

ორი საათის შემდეგ მან გადმომცა ის პატარა, ერთი საუკეთესო მისი ესკიზთაგანი, რომელსაც სახელად ჰქვია „ციცკა“. თუ არა ნიჭიერი მწერალი, ექსპრომტად ასეთ კარგ ესკიზს ვერავინ დანერს“, – შენიშნავს ავტორი. შემდეგ კი იმავე გაზეთში დაიბეჭდა ლექსი „გულგატეხილები“ (დროება, 1881, # 115). აქედან იწყება მწერლის შემოქმედების აღმავლობის ხანა და „დროების“ ფურცლებზე ფელეტონელის სახით იქმნება „ელგუჯა“ (1881, # 125, 127, 131, 134, 135, 138, 144, 150, 197, 200, 211, 212, 213, 216, 218, 219, 221, 226, 228, 230, 231, 233, 244, 245, 247, 249, 251). რომანმა მკითხველთა მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია. იმავე წელს მასზე დაინერა რეცენზია, რომელიც ეკუთვნის იონა მეუნარგიას. მკვლევარი საუბრობს მოთხრობის როგორც დადებით, ისე უარყოფით მხარეებზე: „დიდი ხანია ქართული ნაწერების კითხვას ისე არ უსიამოვნებია ჩვენთვის, როგორც ვისიამოვნეთ „ელგუჯას“ კითხვით. ენა ვერ არის მოთხრობის შესაბამისი, კილო კარგია, ისე ლამაზად უხდება, როგორც ბუნების აღწერას, ისე მის სულიერ მოძრაობას, მაგრამ სუსტია ფორმით, კარგია ფრაზებით. 1881 წლის „ივერიაში“ # 218 გამოქვეყნდა მეორე დადებითი რეცენზია ალ. ხახანაშვილისა წერილში „საბიბლიოთეკო შენიშვნა“.

საინტერესოა დ. კლდიაშვილის მოგონება „ელგუჯას“ პუბლიკაციასთან დაკავშირებით, რაც მას თვით მწერლისგან შეუტყვია და „დროების“ ასოთამწყობ რუსიშვილსაც დაუდასტურებია: „ელგუჯა“ თავდაპირველად თავდებოდა ახლანდელი პირველი თავის ბოლოში ელგუჯას სიკვდილით, – შენიშნავს დ. კლდიაშვილი. „ელგუჯას“ ისე ვეღარ მოგაკვლევინებთო, მითხრესო, – გადმომცა სანდრომ, – თან მეტისმეტად მიამა ასეთი მომართვაო. თან კი გასაჭირში მაგდებდაო. ცოტა ყოყმანის შემდეგ რაკი არ მეშვებოდნენ, იქვე გადავიკითხე ფელეტონის ბოლო და ქვეშ მივაწერე „გაგრძელება იქნება“, მძიმედ დაჭრილი ელგუჯა წაიყვანეს მოსარჩენად ვითომ გადაღმა სოფელში. რამდენიმე დღის შემდეგ მოთხრობის გაგრძელებაც მზად მქონდა და პატარა მოთხრობის მაგიერ დიომიდე კილაძემ და სტამბის ასოთამწყობებმა დამაწერინეს

დიდი მოთხრობა“, – სიამოვნებით, სიცილით მითხრა ეს სანდრომ, – იხსენებს დავით კლდიაშვილი (მაღლაფერიძე 1988:335-336).

„დროების“ 1882 წლის # 4 (გვ. 2-3) დაიბეჭდა მწერლის თხზულება „სცენები“. გარდა ამისა, ის შეტანილია აგრეთვე წიგნში: ალექსანდრე ყაზბეგის „ბიობიბლიოგრაფია“ (1987 წ.). მიუხედავად ამისა, ეს მოთხრობა არ არის შეტანილი მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში, ე.ი. წარმოადგენს მივიწყებულ პუბლიკაციას, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ V ტომის შენიშვნების ბოლოს ყუბანიეშვილი აღნიშნავს შემდეგს: „გარკვეული მიზეზების გამო ალ. ყაზბეგის თხზულებებიდან ჩვენს გამოცემაში არაა შესული მწერლის მიერ ნათარგმნი და გადმოკეთებული ზოგი პიესა, ლექსები, სცენები და რეზუსები“, – მაგრამ გაურკვეველია, „სცენებში“ რას გულისხმობს მკვლევარი, იმ მოთხრობას, თუ საერთოდ სცენას, როგორც ჟანრის სახეობას.

ეს პატარა მოთხრობა საინტერესოა რამდენიმე თვალსაზრისით, კერძოდ, თხზულებას გასდევს იუმორისტული ელფერი, რაც ნაკლებად დამახასიათებელია მწერლის შემოქმედებისათვის. იგი საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით, ვინაიდან მასში წარმოჩენილია ისტორიული მოხეური დიალექტის ნიმუშები.

1882 წლის ბოლო პუბლიკაციაა მოთხრობა „ელისო“ („ივერია“, 1882, # 10) და ეს იყო პირველი ნაწარმოები მწერლისა, რომელიც წიგნის სახით გამოსცა იმავე 1882 წელს ექ. ხელაძის სტამბამ.

დამოწმებანი:

დროება 1880: გაზ. „დროება“, 1880.

დროება 1881: გაზ. „დროება“, 1881.

დროება 1882: გაზ. „დროება“, 1882.

ზარდიაშვილი 2005: ზარდიაშვილი ე. „ამბავი ორი სევდიანი სიყვარულისა“. თბ.: 2005.

ივერია 1881: ჟ. „ივერია“, # 218. 1881.

ივერია 1882: ჟ. „ივერია“, # 10. 1882.

კოტეტიშვილი 1925: კოტეტიშვილი ვ. ალექსანდრე ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი. თბ.: 1925.

ლატარია 2010: ლატარია ნ. ალექსანდრე ყაზბეგის დაუმთავრებელი მოთხრობები და რომანი. თბ.: 2010.

ლოლაშვილი 1949: ლოლაშვილი ი. ალექსანდრე ყაზბეგი სოფელ ჩერვლენოეში. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, # 24(269), 1949.

ლოლაშვილი 1949: ლოლაშვილი ი. „ორი მეგობარი“. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, # 46(291), 1949.

მაღლაფერიძე 1988: მაღლაფერიძე თ. (რედაქტორი) „ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა“. გამოცემა მოამზადა ე. ავსაჯანიშვილმა. თბ.: 1988.

ყაზბეგი 1949: ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. III. თბ.: 1949.

ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. IV. თბ.: 1950.

ყაზბეგი 1950: ყაზბეგი ა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ. V. თბ.: 1950.

ყაზბეგი 1987: ყაზბეგი ა. „ბიობიბლიოგრაფია“. სულხან-საბა ორბელიანის სახელლობის საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა. ყაზბეგის სახალხო უნივერსიტეტი. თბ.: 1987.

შადური 1985: შადური ვ. მასალები ალექსანდრე ყაზბეგის ბიოგრაფიისათვის (ყაზბეგის საგვარეულო მოღვაწენი). თბ.: 1985.

ცისკარი 1861: ცისკარი, # 12, 1861.